"ვამტკიცებ"

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის

პრეზიდენტი ---------- გიორგი გიორგაძე

"1" 03 ---------- 2019 წ.

2019 წლის საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის I ლიგა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

1. **მიზანი და ამოცანები:**
   - საქართველოს რეგიონებში ჭადრაკის შემდგომი პოპულარიზაცია.
   - საქართველოს უძლიერესი კლუბების გამოვლენა.
   - 2019 წლის საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მონაწილეთა გამოვლენა.

2. **სისტემა და კვალიფიკაცია:**
   ჩემპიონატი გაიმართება აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებად.
   ჩემპიონატი ტარდება ფიდეს წესებით, წრიული სისტემით, ორ წრედ.
   დაითვლება ფიდეს რეიტინგი.
   საჭიროების შემთხვევაში ტურნირის ჩატარების სისტემას განსაზღვრავს ორგანიზატორი.

3. **დროის კონტროლი:**
   ყოველ პარტიაზე თითოეულ მონაწილეს მიეცემა 50 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველ სვლაზე (პირველი სვლიდან) 30 წამის დამატებით.

4. **მონაწილენი:**
   ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება აქვთ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს 10-10 საჭადრაკო კლუბს, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი იურიდიული სტატუსი და აქვთ შესაძლებლობა უზრუნველყონ მატჩის ჩატარება. კლუბი გაწევრიანებული უნდა იყოს საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში. თითოეულ ქვეჯგუფში 10-ზე მეტი მონაწილე მსურველი კლუბის შემთხვევაში მონაწილეობის უფლებას განსაზღვრავს წარმოდგენილი გუნდების ძირითადი შემადგენლობის მოჭადრაკეების უკეთესი საშუალო ფიდეს რეიტინგი.
   გუნდის შემადგენლობა განისაზღვრება 8 მონაწილით:
   I-II დაფა - ღია (ნებისმიერი მოჭადრაკე);
   III, IV დაფა - 16 წლამდე (დაბადებულნი 2003 წლის 1 იანვრის შემდეგ);
   V, VI დაფა - 12 წლამდე (დაბადებულნი 2007 წლის 1 იანვრის შემდეგ);
   VII, VIII დაფა - 10 წლამდე (დაბადებულნი 2009 წლის 1 იანვრის შემდეგ).
   ყველა გუნდი უნდა იყოს სრულად დაკომპლექტებული.
   გუნდის განაცხადის წარმოდგენისას შესაძლებელია გათვალისწინებული იქნას ყოველ დაფაზე 1 ან მეტი სათადარიგო მონაწილე.
   ჩემპიონატში მონაწილე კლუბებმა 2019 წლის 20 მარტამდე უნდა წარმოადგინონ გუნდების სახელობითი განაცხადი ძირითადი და სათადარიგო მოჭადრაკეების საბოლოო შემადგენლობა დაფების მიხედვით.

5. **რეგისტრაცია:**
   რეგისტრაციისათვის კლუბებმა უნდა წარმოადგინონ: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2. საბანკო რეკვიზიტები; 3. საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება; 4. კლუბსა და კლუბის წევრებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
   რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2019 წლის 20 მარტი.

6. **სამივლინებო ხარჯები:**
   საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში მონაწილე გუნდების სამივლინებო ხარჯებს გაიღებენ კლუბები ან სხვა მიმავლინებელი ორგანიზაციები.

7. **გამარჯვებულთა გამოვლენა:**
   გამარჯვებული გუნდები გამოვლინდებიან ქულათა საერთო რაოდენობის მიხედვით.
   მოგება განისაზღვრება - 2 ქულით, ფრე - 1 ქულით, წაგება - 0 ქულით.

8. **თაი – ბრეიქი:**

ორი ან მეტი გუნდის მიერ ქულათა თანაბარი რაოდენობის დაგროვების შემთხვევაში ადგილები განაწილდება:

1. ქულათა საერთო ჯამის მიხედვით; 2. ურთიერთშორის მატჩის შედეგით; 3.ზონნებორნ-ბერგერის სისტემით.

9. **ტურნირის განრიგი:**

ტური	რიცხვი	დღე	საათი (I ტური)	საათი (II ტური)
I-II ტური	6 აპრილი	შაბათი	12:00	15:00
III-IV ტური	13 აპრილი	შაბათი	12:00	15:00
V-VI ტური	25 მაისი	შაბათი	12:00	15:00
VII-VIII ტური	3 სექტემბერი	სამშაბათი	12:00	15:00
IX-X ტური	14 სექტემბერი	შაბათი	12:00	15:00
XI-XII ტური	19 ოქტომბერი	შაბათი	12:00	15:00
XIII-XIV ტური	26 ოქტომბერი	შაბათი	12:00	15:00
XV-XVI ტური	2 ნოემბერი	შაბათი	12:00	15:00
XVII-XVIII ტური	30 ნოემბერი	შაბათი	12:00	15:00

10. **დაჯილდოება:**

I ადგილზე გასული გუნდი დაჯილდოვდება გარდამავალი თასით.

I – III ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან მედლებითა და დიპლომებით.

I-II ადგილზე გასულ გუნდები მოიპოვებენ საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის საგზურებს.

კლუბებს ასევე გადაეცემათ საჭადრაკო ინვენტარი:

I ადგილი - 12 ელექტრონული საათი, 12 ჭადრაკი;

II ადგილი - 8 ელექტრონული საათი, 8 ჭადრაკი;

III ადგილი - 5 ელექტრონული საათი, 5 ჭადრაკი;

IV ადგილი - 3 ელექტრონული საათი, 3 ჭადრაკი;

V ადგილი - 2 ელექტრონული საათი, 2 ჭადრაკი.

11. **საერთო წესები:**

- დასავლეთ ზონაში შეჯიბრება ჩატარდება შემდეგი პრინციპით: კენჭისყრის შედეგად თეთრებით მოთამაშე ჩაითვლება "მასპინძელ" კლუბად, ხოლო შავებით მოთამაშე - "სტუმარ" კლუბად. "სტუმარი" კლუბი ვალდებულია შეჯიბრების განრიგის შესაბამისად ჩავიდეს სათამაშოდ "მასპინძელ" კლუბთან.
- აღმოსავლეთ ზონაში შეჯიბრება ჩატარდება შემდეგი პრინციპით: ყველა ტური გაიმართება თბილისში, ჭადრაკის სასახლეში შეჯიბრების განრიგის შესაბამისად.
- სათამაშო დღეებში კლუბებს სატრანსპორტო ხარჯებით უზრუნველყოფს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.
- ყოველი ტურის წინ 2 დღით ადრე კლუბმა უნდა წარმოადგინოს ტურნირის დირექტორთან (a.arsenidze1973@gmail.com) მატჩისთვის გუნდის განაცხადი. განაცხადის წარმოუდგენლობის შემთხვევაში კლუბი ითამაშებს ძირითადი სასტარტო შემადგენლობით.
- ტურის დაწყებიდან ერთ საათზე მეტის დაგვიანების შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- პარტიის მსვლელობისას მობილურის დარეკვის შემთხვევაში მონაწილეს ჩაეთვლება წაგება.
- გუნდის ტურნირიდან გათიშვის შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნება კლუბის მიერ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციასთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანქციები.
- ნებისმიერ მონაწილე კლუბს უფლება აქვს მატჩის დამთავრებიდან 1 საათის განმავლობაში გაასაჩივროს მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილება სააპელაციო კომიტეტში.

კლუბი ვალდებულია წერილობით პროტესტთან ერთად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციაში გადაიხადოს 50 ლარი, რომელიც პროტესტის დაკმაყოფილების შემთხვევაში უკან დაუბრუნდება.

ტურნირის დირექტორი: საერთაშორისო ორგანიზატორი - ალექსანდრე არსენიძე:

ელ.ფოსტა: a.arsenidze1973@gmail.com მობ: 599-92-96-87.